პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
29 იანვარი
№ 23 (17668)
ფასი 2 კაპ.





ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი დარგის უმსხვილესი საწარმოა ამიერკავკასიაში. ხუთწლედის განვლილ პერიოდში საწარმოში საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის კოლექტივმა დაძლია ჩამორჩენა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

სოფელი რუხი ზუგდიდიდან ხუთიოდე კილომეტრით არის დაშორებული. იგი დღეს თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებით თანამედროვე ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფელს.

სურათებზე: ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი; ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში; სოფელ რუხის ერთ-ერთი კუთხე.

მოდის გაზაფხული, შევხვდეთ მზად!

საქართველოს მთა-ბარი თოვლს დაუფარავს, ზამთრის ძილს მისცემია მოჭირნახული მიწა, გაზაფხულის მოლოდინში ბუნება გარინდულა... არ ისვენებენ მხოლოდ სოფლის მშრომელები, ისინი მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის, ვ. ი. ლენინის საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის ემზადებიან. ჩვენი რესპუბლიკის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის კოლექტივები წლის პირველი დღეებიდანვე ენერგიულად შრომობენ და წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1980 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მომზადებისა და მოწყობის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“. საქართველოს სოფლის მშრომელებმა გულთან ახლოს მიიტანეს მისი ყოველი სიტყვა. ერთხმად იწონებენ და საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში შესასრულებლად ემზადებიან, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების განასაღდებლად ყველაფერს აკეთებენ, სიტყვიდან საქმეზე გადადიან.

სოფლის მშრომელთა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების ორგანიზებულ ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება რესპუბლიკის, საოლქო და რაიონულ, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ავალებს 1980 წელს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოაწყონ. ამისათვის საჭიროა, ნათქვამია დადგენილებაში: დროზე დაამთავრონ თესლისა და ნარგავების მომზადება, უზრუნველყონ მათი მაღალი სათესი კონდიცია; საშემოდგომო კულტურების ნათესებში განახორციელონ მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებათა მთელი კომპლექსი; უზრუნველყონ მეურნეობები ორგანული და მინერალური სასუქებით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა, და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის სხვა საშუალებების ეფექტიანი გამოყენება; დაამთავრონ ყველა მეურნეობაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის; უზრუნველყონ მთელი სარწყავი და დაშრობილი მიწების მაღალეფექტიანი გამოყენება; ორგანიზაცია გაუწიონ საკვებს დასაშრეტელი, მარცვლისაღები და სხვა მოსავლის ახალი ტექნიკის დაუყოვნებლივ შეკეთებას; დაკომპლექტონ მეურნეობანი ტრაქტორისტ-მემანქანეების, ავტომობილების მძღოლების, დასაწვიმი მანქანების კადრებით, უზრუნველყონ საზოგადოებრივ მეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა მოწყობის პერიოდში საზოგადოებრივი კვების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების სათანადო ორგანიზაცია.

როგორ ემზადებიან რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და აგროვადებში შესასრულებლად? განვლილ სამეურნეო პერიოდში სოფლად ამ მხრივ რა გაკეთდა? ახლო მომავალში რა არის საჭირო იმისათვის, რომ ყველა მეურნეობაში ადამიანებმა ხალისიანად იშრომონ?

დიდმა ილიამ თქვა: „ღმერთმა რომ ჭვიანა გააჩინა, დიდამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულიერი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“. ჩვენც 1980 წლის პირველივე დღეებიდანვე ისე უნდა გავისარჯოთ, რომ არცერთი მტკაველი მიწა არ დაგვრჩეს მოუხნავი და დაუთესავი.

ვინც მიწის ყადრი კარგად იცის, თავად მოეხსენება, რომ ჯანსაღი ალმონაცენისათვის ხალახი, საღი თესლია საჭირო. და იმ სოფელში, სადაც კონდიციური თესლის მომარაგებისათვის დროზე იზრუნეს, იქ საგაზაფხულო თესვა აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში დამთავრდება. საღი თესლით დროზე და კარგად თესვა ხომ უხვი მოსავლის უტყუარი გარანტიაა! აბა გადაეხედოთ სად რა გაკეთდა თესლის მოსამარაგებლად. მიუხედავად იმისა, რომ იანვრის ნახევრისათვის რესპუბლიკაში 13.239 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილი იყო 14.514 ცენტნერი თესლეული და გეგმა 109 პროცენტით იყო შესრულებული, მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს მაღალკონდიციური თესლეული აკლიათ. ამასთან თუმცა საგაზაფხულო კულტურების თესლეულის მომზადების ვადები გასულია, ადაგენის, ბორჯომის, მცხეთის, ბოლნისის, თიანეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების მეტ წილს თესლეული აკლია, მცხეთის რაიონში კი საჭირო თესლეულის მხოლოდ ნახევარი აქვთ. თანაც აქედან კონდიციური მხოლოდ 17,2 პროცენტია, ბოლნისელებს 29 თესლსაწმენდი მანქანა აქვთ, მაგრამ გამოყოფილი 2.630 ცენტნერიდან მხოლოდ 27 პროცენტია კონდიციური, ნათქვამი კია — უკონდიციო თესლი გინდ გქონია და გინდ არაო.

დიდ ხოდაბუნებს დიდძალი სრულყოფილი ტექნიკა სჭირდება, რომ გაზაფხულის მზით გამთბარი მიწა მთლიანად მოიხნას და დაითესოს. ჰოდა ვიდრე გაზაფხული მოვა, ნაზამთრალ მიწას ოხშივარს აადენს, მანამდე უნდა შეკეთდეს შესაკეთებელი ტრაქტორი თუ გუთანი, სათესელა თუ ფარცხი. ამბობენ, თადარიგიანი მექანიზატორი ის არის, ვინც თებერვლის დადგომამდე სახნავ-სათეს მანქანებს გამართავსო, რადგან საქართველოში ყველამ იცის სხარტულად ნათქვამი — „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ხეში წყლის ჩამდგომისთანავე იწყება საგაზაფხულო სამუშაოები. ზემოქედელმა და ზეღდულეთელმა სოციალისტური შრომის გმირმა მექანიზატორებმა ნიკოლოზ მელიქიშვილმა და გიორგი ცერცვაძემ, გმირმა მეჩაიე-მექანიზატორმა ვალერიან მეუნარგიამ, აბაშელმა, რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ივანე სტორჩაკმა და ბევრმა სხვამ კარგა ხანია თავიანთი მანქანა-იარაღები შეაკეთეს, შეზეთეს და დათბობისთანავე გაღვიძებული ბუნების წიაღში გავლენ, რომ ხოდაბუნებს საკვები მიაწოდონ, პირველი კვალი გაავლონ, მარცვალი ჩათესონ, რომ ჩაის ბუჩქები გასხლან, ბალღებში შხამ-ქიმიკატები მოასხურონ, საფუძვილი ჩაუყარონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვ მოსავალს.

მიწის დამუშავება ახლა უმანქანოდ ვინ გაიგონა! მიწა და მანქანა ახლა თითქმის უერთმანეთოდ წამოუდგენელია. ამ დიდ ხოდაბუნებს, დიდ ზვრებსა და ჩაის პლანტაციებს უმანქანოდ როგორ მოვუვლით, როგორ მოვხნავთ მიწას, როგორ შევიტანთ სასუქს! მანქანამ შეუფერხებლად რომ იმუშაოს, აბსოლუტურად გამართული უნდა იყოს. ეს კარგად ესმით გურჯაანისა და გორის მეურნეობათა თავკაცებს, მექანიზატორებს. ესმით და საკმაოდ თავს კარგად ადგამენ ხოლმე, შარშანდელთან შედარებით ამ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების ტემპი მაღალია. წინა წლის 1 ოქტომბრიდან შარშანდელი იანვრის თხუთმეტისათვის გურჯაანელებს თუ 52 ტრაქტორი ჰქონდათ შეკეთებული, წელს 148 ტრაქტორი აქვთ მზად, გორელებს კი 39-ის ნაცვლად — 70 ტრაქტორი. გაზაფხულის მოახლოებას ალბათ ვერა გრძნობენ ახალქალაქელი და ხაშურელი მექანიზატორები. აქ შარშანდელთან შედარებით ტრაქტორების შეკეთების ტემპი დაქვეითდა. წინა წლის 1 ოქტომბრიდან შარშანდელ 15 იანვრამდე თუ 63 ტრაქტორი იყო შეკეთებული, ხაშურში უფრო უარესი მდგომარეობაა, შარშან 15 იანვრისათვის 40 ტრაქტორი იყო შეკეთებული, წლევანდელი 15 იანვრისათვის კი — 31 ტრაქტორი.

მალე მოვა გაზაფხული და ზოგიერთ სოფელში ხელმძღვანელებს ისევ კი უფიქრიათ მუშაკაცის ხელიერ სამყაროზე, მათს კულტურულ გართობა-დასვენებაზე. სოფლის წინამძღოლები — კოლეგიურობათა თავმჯდომარეებო, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო! მეორეხარისხოვან საქმედ ნუ მიიჩნევთ მინდვრად, ბალღენახსა თუ ჩაის პლანტაციაში, ფერმაში მაწიერი, ეხული კერძებით შრომელთა უზრუნველყოფის საქმეს! უნდა შეგახსენოთ, რომ მუშა კაცს შრომის შემდეგ კარგი სადილი და გართობა-დასვენება სჭირდება, ნურც ამას მიიჩნევთ მეორეხარისხოვან საქმედ. მასთან შეგახსენებთ, რომ თუ გინდათ გაზაფხულ-ზაფხულში მინდვრად და პლანტაციებში შრომელთა გართობა-დასვენება კარგად მოეწყოს, ადგილობრივი მხატვრული კოლექტივები ზამთრის ამ დღეებში უნდა მოამზადოთ.

გახსოვდეთ: კარგი გუნება-განწყობა მიწას შეეიდებულ კაცს დიდზე დიდ საქმეს გააკეთებინებს, ისიც გახსოვდეთ, რომ ხალხს ნათქვამს:

„ალალსა, ალალ მუშასა ალალი სული ამოსდის,
ერთი დღის ნამუშევარსა ერთი წლის სარჩო გამოსდის!“

წელი ლენინური — შრომა დამკვრელური!

შაბათობისათვის — ახალი პროდუქცია

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას — 19 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა, მხურვალედ დაუჭირა მხარი საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივმა. ამწყობმა მაია დოლიძემ მიტინგზე, რომელიც სელექსპორტო პროდუქციის საწარმოო უბანზე გაიმართა, მოუწოდა ამხანაგებს მიაღწიონ კომუნისტურ შაბათობაზე უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას, იმუშაონ დაზოგილი ელექტროენერგიით, და ამ დღისათვის შეასრულონ ოთხი თვის დავალება. მოწოდებას მხარი დაუჭირეს სხვა საამქროებშიც.

გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ოთარ ნიკურაძემ თქვა:

— ჩვენ, ელექტრომეპარატები ყოველთვის ორგანიზებულად ვატარებდით კომუნისტურ შაბათობებს, მაგრამ წლევანდელი შაბათობა განსაკუთრებულია: იგი ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ამ დღეს განსაკუთრებული ენთუზიაზმით ვიშრომებთ.

მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ გაერთიანების კოლექტივი შაბათობის დღისათვის ვადაზე გაკილებით აღრე აითვისებს ახალ პროდუქციას — ეე-2016 ავტომატს, რომელიც გათვალისწინებულია ელექტროენერგიის კომუტაციისათვის.

მ. დოლიძის მოწოდების პასუხად გაერთიანების ახალგაზრდა მუშებმა პირობა დადეს, რომ 19 აპრილისათვის შეასრულებენ ოთხი თვის დავალებას. (საინფორმაციო).



რეალური პერსპექტივები

ცაგერის რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები 1980 წლისათვის

სოფლის მეურნეობა: მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მოწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების, მექანიზაციისა და მიწების ქიმიზაციის დონის ამაღლების გზით განვამტკიცებთ და შემდგომ გავამრავლებთ წარმატებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

საზოგადოებრივ მეურნეობებში მარცვლეულის საერთო წარმოებას გავადიდებთ 3.000 ტონამდე ათვალისწინებული 2930 ტონის ნაცვლად. სიმინდის საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას 18 ცენტნერის ნაცვლად გავზრდით 19 ცენტნერამდე. ყველა რეზერვის გამოყენებით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული განხორციელების შედეგად გავადიდებთ ყურძნისა და ხილის მოსავლიანობას, შევამცირებთ თვითღირებულებს. თითოეულ ჰექტარ ვენახში მოვიყვანთ 40 ცენტნერ ყურძენს. ყურძნის საერთო წარმატებას საზოგადოებრივ სექტორში გავადიდებით 2160 ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 2070 ტონის ნაცვლად.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საზოგადოებრივ ფერმებს შევმატებთ ათობით ჰექტარ ვენახსა და ბაღს, გავაშენებთ 37 ჰექტარ ახალ ვენახებს და 60 ჰექტარ ბაღებს, გამოვიყვანთ 200 ათას ცალ ვაზის ნერგს დაგეგმილი 170 ათასი ცალის ნაცვლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ მეცხოველეობის რენტაბელობას, თითოეული ფურის საშუალო წველადობას გავზრდით 900 კილოგრამამდე, რძის საერთო წარმოებას — 1.134 ტონამდე, ამთავითვე ვიზრუნებთ სულადობის ზრდისათვის. დაგეგმილი 6.100 სულის ნაცვლად ვიყოლიეთ 6.150 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, აქედან 1.300 სულ ფურს. ღორის რაოდენობას გავზრდით 2.500 სულამდე, აქედან ნეზავისას — 310 სულამდე, ვიყოლიებთ 300 სულ თხას.

სახელმწიფოს მივყიდით 4.630 ტონა ყურძენს 7.020 ტონა თესლოვან და კურკოვან ხილს, 710 ტონა ხორცს, 700 ტონა რძეს, 860 ათას ცალ კვერცხს, 20 ტონა აბრეშუმის პარკს.

გადიდებული ვალდებულებები აკისრეს აგრეთვე ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, უბნებმა, ბრიგადებმა, კოლმეურნეებმა.

ჩხუტელის კოლმეურნეობის მეკვეთნეებმა ვალდებულება აკისრეს თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი ყურძენი მოიწიონ, საერთო წარმოება კი 300 ცენტნერამდე გაზარდონ, სახელმწიფოს 180 ტონის ნაცვლად 200 ტონა ყურძენი მიჰყიდონ.

აქაური მეცხოველეები პირობას დებენ ფურის საშუალო წველადობა 1000 კილოგრამამდე გაზარდონ.

ლასურიაშელი მესამინდეები საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას 27 ცენტნერამდე გაზრდიან და სულ მიიღებენ 3500 ცენტნერ მარცვალს.

ხილის უხვი მოსავლის მიღების ვალდებულება აკისრეს უსახელაურის მეკვეთნეობის საბჭოთა მეურნეობის, ლასურიაშის, წიფურჩხისა და ცაგერის კოლმეურნეობებმა.

მშენებლობა, მრეწველობა და ტრანსპორტი: წელს აშენდება სამი საღორე და ლასურიაშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის მცირე კომპლექსი, ცხუკეშერის საშუალო სკოლა და სხვა ობიექტები.

სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის მუშაკები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მიიღებენ და გადაამუშავებენ 4700 ტონა ყურძენს, დაამზადებენ და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნიან მაღალხარისხოვან მოტკბო ღვინომასალას, შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 1,5 პროცენტით.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მშრომელები 510 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ საგეგმო 500 ათასი მანეთის ნაცვლად, ამასთან გაფართოებენ საქონლის ასორტიმენტს.

ლაჯანურჰესის მეორე კასკადის კოლექტივმა ვალდებულება აიღო სახალხო მეურნეობას მისცეს 410 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია 409 მილიონის ნაცვლად. ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის თვითღირებულებას შეამცირებს 2,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 1,5 პროცენტით.

რაისაბჭოს აღმასკომის საწარმოო-საგზაო უბანი 266,0 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულებს 270,0 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოებს და ამასთანავე 1,5 პროცენტით შეამცირებს საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვას.

გაუმჯობესდება მშრომელთა სატრანსპორტო მომსახურება. ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმო 270 ათასი ტონის ნაცვლად გადაიტანს 271 ათას ტონა ტვირთს, გადაიყვანს 590 ათას მგზავრს.

ვალდებულებები მიღებულია ცაგერის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ერთსულოვნების ვითარებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრადგილი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ლეონის ძე ქართველიშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ქუთაისის № 258 **ბუხაიძის** საარჩევნო ოლქში.

ქალაქ წყალტუბოს ზონის № 274 **ოფუჩვეთის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარებული ვეგუთის საბჭოთა მეურნეობის მწველავი **მანანა ალექსანდრეს ასული ბრეგვაძე.**

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი **შოთა ივანეს ძე ჭალაგანიძე** რეგისტრაციაში გაატარეს წალენჯიხის რაიონის № 343 **ჭალის** საარჩევნო ოლქში.

კოლმეურნეობა „მეგობრობის“ კოლმეურნე **ლილია ალექსანდრეს ასული მაზიკაი** რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ბაგრის ზონის № 372 **ბაღნარის** საარჩევნო ოლქში.

გარდაბანის რაიონის № 90 **მარტყოფის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი **გივი შალვას ძე ციანტალიანი.**

განთიადის მეძროვეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილე **ეთერ ვასილის ასული დევნოზაშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს ლენინის რაიონის № 152 **განთიადის** საარჩევნო ოლქში.

ახალციხის რაიონის № 135 **ვალეს** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **გივი შოთა ძე ორჯონიკიძე.**

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მუშა **დოდო ვაჟას ასული ფარცვანია** რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ზუგდიდის № 332 **ოქტომბრის** საარჩევნო ოლქში.

წალკის რაიონის № 158 **ბედიანის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი **კონსტანტინე თეიმურაზის ძე სალია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო საავტომატო დირექტორი **თეიმურაზ გიორგის ძე სტეპანოვი** რეგისტრაციაში გაატარეს ბოლნისის რაიონის № 164 **ქვემო ბოლნისის** საარჩევნო ოლქში.

მოლაღნოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის კომპლექსის ბრიგადირი **ხალიდა ბუსეინ ყზი მამედოვა** რეგისტრაციაში გაატარებული მარნეულის რაიონის № 170 **კაპანახჩის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი **ჰამლეტ შალვას ძე ჭერესელიძე** რეგისტრაციაში გაატარეს დუშეთის რაიონის № 188 **ბაზალეთის** საარჩევნო ოლქში.

სოფელ ზოდის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ცაგო გიორგის ასული ხვედელიძე** რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ჭიათურის ზონის № 246 **ზოდის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი **თეიმურაზ ნიკოლოზის ძე დავითაშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს ხაშურის რაიონის № 127 **სურამის** საარჩევნო ოლქში.

ზესტაფონის რაიონის № 241 **ქვედა საქარის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაშია გატარებული არგვეთის მეკვეთნეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი **ავთანდილ პარმენის ძე გურეშიძე.**

საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი **კარლო ილიას ძე ქაჯაია** რეგისტრაციაშია გატარებული № 344 **ჩხოროწყუს** საარჩევნო ოლქში.

სოფელ აბისის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ციალა დავითის ასული მეარეული** რეგისტრაციაში გაატარეს ქარელის რაიონის № 123 **აბისის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი **გიორგი ილიას ძე პატიაშვილი** რეგისტრაციაშია გატარებული № 140 **ახალციხის** საარჩევნო ოლქში.

ზუგდიდის რაიონის № 335 **დარბილის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საწარმოო გაერთიანების „საქართველოს ჩაი“ უფროსი **ენვერ სევერიანეს ძე მალაზონია.**

სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ეუფუნა ალექსანდრეს ასული კეშელაძე** რეგისტრაციაში გაატარეს თერჯოლის რაიონის № 255 **ჭოგნარის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პაატა გიორგის ძე გილაშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს გორის რაიონის № 109 **მეჯვრისხევის** საარჩევნო ოლქში.

№ 286 **ცაგერის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის“ კოლმეურნე **ლამარა ინდოკოს ასული საგინაძე.**

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გურამ დავითის ძე მგელაძე** რეგისტრაციაში გაატარეს № 318 **აბაშის საქალაქო** საარჩევნო ოლქში.

სორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი **ელიკო ოსიას ასული ერაძე** რეგისტრაციაში გაატარეს ონის რაიონის № 284 **სორის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი **გურამ იოსების ძე გუნავა** რეგისტრაციაში გაატარეს № 285 **ლენტეხის** საარჩევნო ოლქში.

სოფელ ციხისჯარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ლენა იოსების ასული გორგაძე** რეგისტრაციაში გაატარეს ოლაფლოების რაიონის № 214 **ვარდისუბნის** საარჩევნო ოლქში.

№ 213 **ლაგოდეხის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე.**

ხვანჭკარის მეკვეთნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **მერცი გალაქტიონის ასული ბუაძე** რეგისტრაციაში გაატარეს ქარელის რაიონის № 123 **აბისის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი **გიორგი ილიას ძე პატიაშვილი** რეგისტრაციაშია გატარებული № 140 **ასპინძ

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 155

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სასწავლო თვალსაჩინოებებს — მთავარი ყურადღება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და სასწავლო-თვალსაჩინოების ხელსაწყოების შეძენაზე ფულადი სახსრების ხარჯვის, მათი შენახვისა და გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

კომიტეტის სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალი სასწავლო მოწყობილობით სკოლების აღჭურვისა და სწავლების პროცესში მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ მიზნით ფულადი სახსრების ხარჯვაში, სკოლებში არსებული სასწავლო-თვალსაჩინოების ხელსაწყოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვისა და გამოყენების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებები ხშირად არ გზავნიან განაცხადებს საჭირო სასწავლო მოწყობილობაზე და თვალსაჩინოების სახელმძღვანელოებზე, რის შედეგად (ცენტრალიზებული ფულადი სახსრების და მოწყობილობის ფიზიკური ერთეულების განაწილების გეგმები საკმაოდ საფუძვლიანი არ არის. ეს კი იმას იწვევს, რომ ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს სასწავლო თვალსაჩინოებანი და ტექნიკური საშუალებები უფრო მეტი ეძლევათ, ვიდრე დაგეგმილი თანხებით არის გათვალისწინებული. ამის გამოა, რომ ბევრგან აღნიშნულ სახელმძღვანელოებს სრულად არ ღებულობენ და მათი მწვავე ნაკლებობაა. ამასთან ხშირია ნომენკლატურისა და დასახელებათა რაოდენობის მიხედვით მიწოდების გეგმების დარღვევათა ფაქტები. მაგალითად, 1978 წელს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებს დააკლეს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა 9 ერთეული (კინოპროექტორები, დიაპროექტორები, მაგნეტოფონები, კინოაპარატები). ამავე პერიოდში ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სკოლებს დააკლეს სწავლების ტექნიკურსაშუალებათა ოთხი ერთეული და დაგეგმილთან შედარებით მისცეს მეტი: 8 ტელევიზორი და 6 ფირსაკრავი. ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში, ქ. რუსთავში და სხვაგან.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ რესპუბლიკის სკოლებში, სახალხო განათლების განყოფილებების ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში მიშვებულია სასწავლო მოწყობილობათა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის საქმე. გამოვლინდა ბევრი ფაქტი, როდესაც შეძენილი სასწავლო ტექნიკური მოწყობილობის დიდ რაოდენობას საერთოდ შემოსავალში არ ატარებენ, დროულად არ ეწყობა ინვენტარიზაცია და ირღვევა მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის წესები. ამ მხრივ ნაკლოვანებები გამოვლინდა მარნეულის (განათლების განყოფილების გამგე — გ. ნაბიევა) და ბოგდანოვკის (განყოფილების გამგე — ჰ. ვოსკანიანი) რაიონებში.

კომიტეტის სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ სწავლების ტექნიკური საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა ჯერ კიდევ დაბალია მარნეულის, ბოგდანოვკის, თბილისის პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების სკოლებში, წლობით ცდება ძვირად ღირებული მოწყობილობა და აპარატურა, არ ხდება მათი დამონტაჟება და გამართვა. რესპუბლიკური მეთოდიკური ცენტრის მონაცემებით, 22275 ერთეულიდან გაუმართავია 2557, ხოლო რესპუბლიკურ მეთოდცენტრთან არსებული მოძრავი ლაბორატორია თვეს ვერ ართმევს დაკისრებულ ამოცანებს.

ასეთი მდგომარეობა მოწმობს, რომ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები უყურადღებოდ ტოვებენ რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო თვალსაჩინოებათა ხელსაწყოებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტაციის, დაცვისა და გამოყენების საკითხებს. თვით სამინისტროს აპარატში არ არის შემუშავებული ამ მნიშვნელოვან უბანზე პასუხისმგებლობისა და კონტროლის ზუსტი სისტემა. ამ მხრივ წესრიგის დამყარებაში სათანადო აქტიურობასა და პრინციპულობას არ იჩენენ შემოწმებული სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

კომიტეტმა ამ საკითხზე სათანადო ღონისძიება მიიღო.

ამტკიცებს მსპარლაჭერით

ოკოკიბეიანი, ალექსანდრე — ფოთი. რ. ბეგიევმა, ოკის წევრთა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტიდან — იმსჯელა საწარმო - დაწესებულებებში მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების აღრიცხვა-რეგისტრაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და დადგენილების შესრულებას სათანადო კონტროლი დაწესა.

რადგანაც ხნის შემდეგ კომიტეტის დავალებით „მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების ბიურომ (გამგე ა. კალანდაძე) შეისწავლა ფაქალაქო საბჭოს ფომასკომის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილებასა და „საქმთავარაზის № 9 ტრესტში, წყალსადენისა და ელექტრონაგებობათა სამმართველოებში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

გამოვლენილი ხარვეზების სალიკვიდაციოდ კონკრეტული დავალება მიეცათ ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეებს.

ეს იმაზე მიუთითებს, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში სახალხო კონტროლისა და მისი აქტივის მონაწილეობა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა-განხილვაში. საქალაქო კომიტეტთან შექმნილია 7 დარგობრივი შტაბგარეშე განყოფილება და ფინანსური დისციპლინის დაცვის კომისია 22 სექტორითურთ. 87 კონტროლიორიდან 71-ს უმაღლესი განათლება აქვს.

ცალკეულ განყოფილებებში მომუშავე კონტროლიორებიდან აქტიურობენ ინჟინრები ჯ. ადანაია, ხ. ფაიფაია, ეკონომისტი ვ. ტოროფეევა, დ. ბაშტანარი, იურისტები პ. დათუაშვილი, ჯ. მაისაია და სხვები.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი შტატგარეშე კონტროლიორთა და აქტივისტთა მორალური სტიმულირებისათვის არაერთ ფორმას იყენებს. უკანასკნელ ხანებში აქ შემოიღეს სპეციალური წიგნი, რომელშიც შეტანილი არიან: საფინანსო დისციპლინის დაცვის კომისიის წევრი, პენსიონერი თ. ყურეფა, ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის წევრი ა. ნარსია, ელექტრომანქანების მაძლიერებლების ქარხნის მოწინავე კონტროლიორები თ. ტაბაღუა და ი. ოსიპენკო.

აქტივისტთა დასახმარებლად კონტროლის საქალაქო კომიტეტის საინფორმაციო-მეთოდიკურ სექტორში მოწყობილია სტენდები, აქვთ ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე.

ა. კომახიძე,
„კომუნისტის“ შტაბგარეშე კორესპონდენტი.

● ●

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

«კომუნისტს» უპასუხებენ

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი

წყალსადენის მილის გასკომის გამო შენობის სარდაფის დატბორვის ფაქტს ეხებოდა კრიტიკული, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი“. ამის გამო თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ავალიანი რედაქციას აცნობებს:

ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა საკასო და საკრედიტო გეგმების შესრულების მიმდინარეობის საკითხის განხილვის დროს იმსჯელა გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გამო. მკაცრი გაფრთხილება მიეცა იმ წარმოება - დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომლებზეც ლაპარაკი იყო გაზეთის მასალაში.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 155

ნუ გავუწევთ დათვურ სამსახურს

გულისხმიერება? არა, თანამდებობრივი დანაშაული

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მარტო საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ათასობით ახალგაზრდა სწავლობს. ეს მოწმობს, რომ ყველას, ვისაც სათანადო მოწოდება და სურვილი აქვს, შეუძლია ისწავლოს და პარალელურად შეიძინოს შრომისა და არჩეული დარგის მართვის კონკრეტული ჩვევები, დაეუფლოს სახალხო მეურნეობის გაძღოლის მეთოდებს.

ამავე დროს ეს კონტინგენტი დიდი შრომითი რეზერვიც არის, რომელსაც სახელმწიფო ეკონომიკის განმტკიცებაში თავისი ხვედრითი წონა აქვს. კადრების აღზრდის ამ ფორმას დღეს განსაკუთრებით დიდი ამოცანა აკისრია. ამიტომ არის სავალდებულო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მუშაობა შესაბამისი პროფილით, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

რესპუბლიკის, საოლქო, საქალაქო და რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ მოწყობილი შემოწმებები, ამჟამად რომ მიმდინარეობს, ცხადყოფს, რომ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებების სტუდენტი ახალგაზრდობის შრომითი დასაქმების საკითხებს ყველგან ჯეროვნად არ აფასებენ, ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტი მუშაობდეს პროფილით, არჩეული პროფესიის შესაბამისად იძენდეს პრაქტიკულ ცოდნას. საამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ძალიან იოლად აძლევს მათ შრომითი საქმიანობის დამადასტურებელ ყალბ ცნობებს. უფრო მეტიც, ასეთი უფროსების შემხვედრე ზოგიერთი სტუდენტი თვითონ აბერხებს ყალბი საბუთების შედგენას და სასწავლებელში წარდგენას, რითაც თავს არიდებს მუშაობას.

სახელმწიფო დისციპლინის ამგვარ დარღვევებში, ცხადია, ბრალი მიუძღვით უმაღლესი სასწავლებლების იმ მუშაკებსაც, რომლებიც ბრმად ენდობიან ქაღალდებს და ზოგჯერ თვალის ერთი გადავლებით უტყუარად მიიჩნევენ აშკარად საეჭვო ცნობას სამუშაო ადგილიდან და სტუდენტებს დათვურ სამსახურს უწევენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც არ აწუხებთ და არ აფიქრებთ ასეთი დახმარების საბოლოო სავალალო შედეგი.

1979 წლის 15 ივლისს ჩოხატაურის - კულტურის სახლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ბ. ბენდელიანი) ბათუმის, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის ლეილა ზურაბის ასული ციხლაძის სახელზე გასცა ცნობა, რომ ის ნამდვილად მუშაობს ჩოხატაურის რაიონის ტურისტულ კლუბში ექსკურსია-მძღოლად. ფაქტობრივად იგი აღნიშნულ თანამდებობაზე გაფორმებული იყო 1978 წლის 28 მარტიდან, იმავე წლის მაისში მიიღო ხელფასი 22 მანეთი, ივნისში — 37, ივლისში — 14 მანეთი, 1978 წლის აგვისტოდან 1979 წლის 24 დეკემბრამდე ე. ი. შემოწმების დღემდე იგი იმავე თანამდებობაზე იყო გაფორმებული, თუმცა არც ერთი მანეთი ხელფასი არ მიუღია.

კლუბის დირექციამ ამ სიყალბის ფაქტი ახალი დანაშაულით „გაამდიდრა“ და სტუდენტი ლ. ციხლაძე 1979 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით... 20 ივლისიდან გაათავისუფლა. ამავე კულტურის სახლის დირექტორის მიერ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ნადურის“ ადმინისტრატორად ბრძანებით გაფორმებული იყო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი პავლე ჯანსუღის ძე კალანდაძე, მაგრამ მას მთელი 1979 წლის მანძილზე ხელფასი არ მიუღია.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ ამგვარი „ხელის გამართვის, დახმარებისა და მზრუნველობის“ ფაქტები გამონაკლისი არ არის.

ჩოხატაურის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობამ (უფროსი თ. ქორძე) გასცა ცნობა, რომ ლეა ბეგის ძე ჟღენტი ნამდვილად მუშაობს აღნიშნულ ორგანიზაციაში მონტიორად. თუ ბეჭედასმული, ხელმოწერილი, შტამპიანი ქაღალდით ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ მოდით მოვუსმინოთ კვანძის ხელმძღვანელობის მიერ ამ საკითხზე დაწერილ ახსნა-განმარტებას: „მოგახსენებთ, რომ 1978 წლის 29 დეკემბერს გავეცი ცნობა № 345, რომ მოქალაქე ლეა ბეგის ძე ჟღენტი ამ პერიოდისათვის ნამდვილად მუშაობდა ტექნიკურ უბანში მონტიორად. აღნიშნული ცნობა მას ესაჭიროებოდა კავშირგაბმულობის ინსტიტუტში წარსადგენად. აღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ მოქალაქე ჟღენტს სურვილი ჰქონდა ემუშავა ჩვენს ორგანიზაციაში, რაც აუცილებელი იყო მისთვის. რადგან ის უმაღლესში სწავლობდა ამ პროფილით. ჩვენ მოქალაქე ჟღენტის სამუშაოზე აყვანა ვერ შევძელით ვაკანტური ადგილის უქონლობის გამო, მოქალაქე ჟღენტზე ჩემს მიერ გაიცა ცნობა, თითქოს ის მუშაობდა ჩვენს ორგანიზაციაში, რაც მომიყვანა ჩემი გამოუცდელობით. ამჟამად ვგრძნობ, რომ მე დავუშვი შეცდომა, ვინანიებ მას და გთხოვთ პატიებას, რაც ჩემ მიერ გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში“. (ტექსტი დაცულია).

ძნელია სხვა სახელი მოეძებნოს ხელმძღვანელის ასეთ საქციელს, თუ არა თანამდებობრივი დანაშაული.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა თამაზ იურის ძე გურგენიძემ წარმოადგინა ცნობა, რომ მუშაობს წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტად. მაგრამ შემოწმებით ამ ორგანიზაციაში მისი შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა. იგი საერთოდ ამ რაიონში არც ცხოვრობს.

როგორც გამოირკვა, თამაზ გურგენიძემ თვითონ შექმნა ყალბი საბუთი. დაბეჭდა უმაღლეს სასწავლებელში წარსადგენი ცნობის ტექსტი, დაამოწმა სულ სხვა ორგანიზაციის ბეჭდით, ყალბი ხელმოწერით და წარადგინა სადაც ჯერ არს. საკითხავია, ნუთუ ინსტიტუტში არავინ დაიჭვა იმან, რომ წალკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მიერ „გაცემული“ ცნობას რატომ აზის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს „საქმთავარენერგოს“ სპეციალიზებული ტრესტის „საქსოფლმშენის“ ბეჭედი?

ყალბი ცნობები წარადგინეს აგრეთვე მოსკოვის „ოკოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტმა სლავა ალექსანდრეს ძე ემინოვმა, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა იზა ვასილის ასულმა აივაზოვმა, ერნიდა ვასილის ასულმა ჩილოვამ და სხვ.

სტუდენტთა შრომითი საქმიანობის შესახებ ყალბი ცნობების გაცემის ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე ასპინძის, ახალქალაქის, გურჯაანის, სიღნაღის და სხვა რაიონებში ჩატარებული შემოწმებებით.

დამფიქრებელია არა მარტო ის ფაქტი, რომ სტუდენტი თვითონ სჩადის დანაშაულს, არამედ ისიც, რომ მას სიყალბისაკენ უბიძგებენ უფროსები, აღმზრდელები, პასუხისმგებელი პირნი. სწორედ მათი „მზრუნველობით“ და „დახმარებით“ გაცემული ყალბი საბუთის წყალობით იკავებს ზოგიერთი უღირსი ახალგაზრდა ღირსეულის ადგილს.

განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ ასეთი „დახმარება“ უარყოფითს გავლენას ახდენს მომავალი სპეციალისტის ჩამოყალიბებაზე, მისი ცოდნის დონეზე?

ჯ. ახვლედიანი.

ფოტოინფორმაცია

კონტროლიორთა ინიციატივა

ზუსტად და შეწყობილად მუშაობს თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს კოლექტივი. ათი სახელობის ნაწარმს აქ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებენ. ეს არის უახლესი მოწყობილობის წარმოებაში დანერგვის შედეგი.

თანამედროვე პირობებში წარმოების მასშტაბის გადიდების, სამეურნეო კავშირურთიერთობების გართულების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კვალობაზე იზრდება სამუშაო დროის თითოეული საათის, თითოეული წუთის, შინაგანაწესის დაცვის, წარმოების ყოველი უბნის სტაბილური კადრებით განმტკიცების მნიშვნელობა.

ბევრ რამეს აკეთებენ საწარმოს სახალხო კონტროლიორები. ახორციელებენ რა პარტიის მითითებებს, ისინი დიდ მუშაობას ეწევიან შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მათი ინიციატივით მარტო შარშან დაიზოგა 1500 კილოგრამზე მეტი კაპრონის ძაფი, 68 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სურათზე (მარცხნიდან): უფროსი ინჟინერ-დისპეტჩერი, გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე მანანა ოკინაშვილი, საქსოვი საამქროს უფროსი, საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე თენგიზ ჭინჭარაული და მქსოველი, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი მერი პალადიანცი ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცუდი მასპინძლის სახლია...

სასტუმროებით მომსახურებას — მეტი ყურადღება

წესრიგი ყველგან და ყველაფერში

მინდორაობაში თუ მოგზაურობაში ყოფნისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გვმსახურებიან ამა თუ იმ სასტუმროში, არის თუ არა იგი კეთილმოწყობილი და რამდენად ხელმისაწვდომია ამ სიკეთით სარგებლობა.

ვიდრე კონკრეტულ ფაქტებზე გადავდოდეთ. ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ჩვენს ქალაქებში სასტუმროების ნაკლებობა საგრძნობია და ხშირად უცხო ადამიანს ძალზე უძნელდება ლამის გასათევის შოვნა.

როგორი პირობები და სიძნელეები გვაქვს ამ მხრივ აფხაზეთში, ერთიდ ერთ მის დედაქალაქ სოხუმში?

ვერ ვიტყვით, რომ სასტუმროები, პანსიონატები, კემპინგები ცოტა გვქონდეს, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ სოხუმი საკურორტო ქალაქია და სასტუმროზე მოთხოვნილებაც მეტადრე ზაფხულში ძალზე დიდია.

მაგრამ ამ ობიექტების მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ეს სიძნელეები იმდენად ადგილობრივ ნაკლებობით არ არის გამოწვეული, რამდენადაც იმით, რომ არსებულ შესაძლებლობებს რაციონალურად არ იყენებენ.

სოხუმში ერთ-ერთ დიდ და კეთილმოწყობილ სასტუმროდ „აფხაზეთი“ ითვლება. აქ უკვე მესამე წელია რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და ამის გამო ნომრები სანახევროდაც არ არის გამოყენებული. სამუშაოთა დროულად შესრულებისათვის მშენებელ-მერქანმუშაოთა სპეციალური უბანიც კი შეიქმნა, მაგრამ საქმე მაინც კოს ნაბიჯით მიდის. აქ აშკარად სცოდავს „ინტერნაციონალ“ სოხუმის სარემონტო-სამშენებლო უბანი (უფროსი — მ. მებუკი). სამუშაოთა გაჭიანურება, როგორც ჩანს, მათ ხელსაც აძლევს. ეი უკვე ორი საზაფხულო სეზონი გავიდა, რაც მათ სასტუმროს ნომრების თითქმის ნახევარი უჩანართ და თავიანთი სურვილისაებრ იყენებენ, ნაცნობ-ახლობლებს ასახლებენ შიგ.

ეი ფაქტები: „ინტერნაციონალ“ აფხაზეთის განყოფილების მმართველის ვ. ჭელიძის ერთ-ერთი ბრძანებით (ასეთი ბრძანებები რამდენიმეჯერ დაიწერა) რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 1979 წლის 27 ივნისიდან ექსპლოატაციიდან მოიხსნა 16 ნომერი. ამ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი ნომრებში მოთავსებული ქონების ჩაბარების თაობაზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო სამმართველოს აფხაზეთში მომუშავე უფროს რევიზორ-კონტროლიორთან, სახალხო კონტროლიორებთან ერთად ადგილზე დავადგინეთ, რომ ბრძანებით ექსპლოატაციიდან მოხსნილი ბევრ ნომერში გაუფორმებლად ცხოვრობდნენ სხვადასხვა პირები. ჩვენ დაინტერესდით ზოგიერთი მათგანის ვინაობით. ესენი იყვნენ რ. ჯანაძე, გ. ბობოხიძე, ზ. ხუციძე, რ. ინანიშვილი, ი. მაისურაძე, გ. ჯალაღონია, ი. ბაკურაძე და სხვები. 68-ე ნომრის მობინადრეებმა მ. ბერიაშვილმა და მ. მამრეკაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ „ისინი აქ მოაწყვეს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ბოღოლტერმა ი. სვიდომირსკიმ და სამუშაოთა მწარმოებელმა ა. სოროკინკინ; 70-ე ნომერში დაბინავებული იყვნენ ა. იავონი და ვ. ეფრემოვი. როგორც მათ გვითხრეს, სოხუმში ათიოდე დღის წინათ ჩამოსულან და რესტორანში ოფიციანტებად მოწყობა სურდათ, პასპორტებით კი 4 მარტს

ქ. ბრის 116 ნომერში იყვნენ ჩაწერილი; 82-ე ნომერში მოსკოველი ციოლ-ქმარი ლ. გუსევა და ი. ტოპში ბავშვიანად ორი კვირის წინ იყვნენ დაბინავებულნი. როგორც მათ ავიხსენეს, სასტუმროში ნომრი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ყოფილმა სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. ჯაჭვაძემ მოუხერხა; ასევე უსასყიდოდ და გაუფორმებლად სასტუმროში თავიანთი ოჯახებით ცხოვრობდნენ ამავე სამმართველოს მუშაკები მ. ბირბიჩაძე, თ. ჯალაძე და სხვები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. წ. ექსპლოატაციიდან მოხსნილი ნომრები, აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით — ავეჯით, ლოგინით, თეთრეულით, ზოგან კი ტელევიზორი, ტელეფონი, მაცივარი და გაზქურაც კი არ აკლდათ.

ამ სასტუმროს საქმიანობაში სხვა სერიოზული ნაკლიც არის. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა თეთრეულის, დროული და ხარისხიანი რეცხვა. სამრეცხაოს ეარგა თეთრეულს აბარებენ, უკან კი ხშირად ჩამუქებული, დაჭმუჭნილი, ალაგ-ალაგ დაგლეჯილი ზეწრები, ბალიშის პირები, საბნის ფარფატები და პირსახოცები მოაქვთ. ეს, რა თქმა უნდა, სტუმრების უკმაყოფილებას იწვევს. ამას ემით ხსნიან, რომ სამრეცხაო ქალაქის საავტომყოფოებსა და სხვა დაწესებულებებსაც ემსახურება, რეცხვის დროს კი თეთრეული ერთმანეთში ირევა.

„აფხაზეთს“ თავისი სამრეცხაო ჰქონდა ქალაქგარეთ, მდინარე გუმისთის ხეობაში, მაგრამ წყალდიდობის შედეგად დაზიანდა, აღდგენას კი საშვილი არ დაადგა. სასტუმროს მობინადრეებს უხერხულობას უქმნის მის ეზოში მოთავსებული გარაჟიც. აქ ავტომანქანების ხმაური ძილს არ აძლევს ხალხს. ამ საქმის მოსაგვარებლად ადადწყდა ქალაქგარეთ ახალი გარაჟი აეშენებინათ, რაც საქართველოს სსრ სასაფლო მშენებლობის სამინისტროს მე-7 ტრესტს დაევალა. სამუშაოებსაც დროზე შეუდგნენ, მაგრამ რატომღაც შედეგი მიიღწევა. მას შემდეგ ხუთი თვიდან წელი გავიდა, მშენებლობის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს.

სოხუმი არა მარტო საკურორტო ქალაქია, არამედ საბჭოთა და უცხოელ ტურისტთა მარშრუტების ერთ-ერთი ცენტრიც არის. აქ განლაგებულია პანსიონატები და კემპინგები. აფხაზეთის სამინისტროებს ავტომპანსიონატი „სინოპი“ ტენდეროლოგიური პარკის გვერდით, საქალაქო პლაჟის პირდაპირ დგას. პანსიონატი (დირექტორი — მ. ბულია) 250-საწოლიანია, მაგრამ საწოლების უმრავლესობა წლიდან წლამდე, მიტადრე ზაფხულობით, დაქირავებული აქვთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ექსკურსიულ უწყებებს ადრე გაფორმებული ხელშეკრულებებით. ასეთი საგზურები ასობით ადამიანი თითქმის ერთდროულად ჩამოდის და 12-24 დღეს ისვენებს პანსიონატში. ამიტომ არის, რომ ავტოტურისტთა თავშესაფარი გადაქცეულია დასასვენებელ სახლად და ფაქტობრივად თავისი დანიშნულება დაკარგა.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1974 წლის ნოემბრიდან ავტოპანსიონატის მეშვიდე კორპუსი იჯარით გადაეცა აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს მსახიობთა და მათი ოჯახების წევრთა დროებითი მომსახურებისათვის. ხელშეკრულებით სამინისტრო ვალდებული იყო პანსიონატის შენობა გაეთავისუფლებინა იმ დროისათვის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი უწყებრივი საერთო საცხოვრებლის კაპიტალური რემონტის დამთავრებისთანავე. სამწუხაროდ, მოიჯარადრეებმა პირობა დაარღვიეს. მას შემდეგ უკვე ხუთ წელზე მეტი გავიდა, ამასობაში პანსიონატში დროებით მცხოვრებმა ბევრმა მსახიობმა ქალაქში კეთილმოწყობილი ბინა მიიღო, მაგრამ იჯარით აღებულ სახლს მაინც არ ათავისუფლებენ, რადგან მათ ადგილს თვითნებურად სხვები იკავებენ. პანსიონატის დამსვენებლთა და მათ მეზობლად ადგილობრივ მოსახლეთა ოჯახების ერთად ცხოვრება მთელ რიგ უხერხულობასთან არის დაკავშირებული.

საერთოდ ეს პანსიონატი მოწყობილია. ვისაც ბედი გაუღიმებს და მისი სტუმარი გახდება, ნუ ეგონება, რომ იქ კეთილმოწყობილი, თანამედროვე დგამ-ავეჯით აღჭურვილი ნომრები დახვდება. ავტოპანსიონატს უკვე მეთოხედი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი ძველი, შეუფერებელი კორპუსების რეკონსტრუქცია. შემოწმების დღეს პანსიონატში 130-ზე მეტი ადგილი დაკავებული ჰქონდათ კიევიდან, კრივოი როგიდან, ყირიმნოვოდან, ალმა-ათიდან და მოსკოვიდან საგზურებით ჩამოსული დამსვენებლებს, 75 ადგილზე კი უსაგზურად ჩამოსულები ცხოვრობენენ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ავტოპანსიონატმა მხოლოდ 200 ცალი ზეწარი, 50 ცალი ბალიში და ბალიშის პირი და 100 ცალი საბანი მიიღო, არავინ ფიქრობს 220 ცალი რეცხისა და ხის საწოლების შეცვლაზე, რომლებიც ათი წლის წინათ მიუოიათ და უკვე მორყეულია.

აფხაზეთის ერთ-ერთი უძველესი რაიონული ქვანტრი ოჩამჩირე უკანასკნელ წლებში საკურორტო ელფერს იძენს. რაიონში ორი ტურისტული ბაზა და სხვადასხვა უწყებათა რამდენიმე დასასვენებელი კერაა.

ვინც ამ რამდენიმე წლის წინათ აქ ყოფილა, ალბათ შეამჩნევდა მის შესასვლელში ზღვისპირას გაშლილ ავტოტურისტთა მრავალრიცხოვან კარვებს. რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებმა ეს რომ დაინახეს, თქვეს — ამ ხალხს უნდა მოვემსახუროთო!.. მიდამო შემოღობეს, კარებთან დარაჯი დაადგინეს, იქვე დიდი ბარი გაკრეს და ამ ახალგამომცხვარ დაწესებულებას უფროსად ფიზიკოსი ბ. ბერსონიანი გაუჩინეს. რა შეიძლებოდა აქეთ ამით ავტოტურისტებს, რით ემსახურებიან მათ? სამწუხაროდ, თითქმის არაფრით. ისინი მხოლოდ შეცვლის, მანქანის დაყენებისა და კარვის გამართვის ნებართვას იძლევიან. ასეთი „მომსახურებისათვის“ ტურისტებს საკმაო თანხასაც ახდევინებენ. იქვე მანქანების სადგომზე და მოოწყობელ პლაჟზე სიბინძურეა.

ეს არის კეთილი მასპინძლობა?!

უკანასკნელ ხანს ყალის რაიონული ცენტრი საგრძნობლად კეთილმოეწყო და ყალამაზდა. აიგო ახალი სასტუმრო, მაგრამ იმის გამო რომ მოვლა-პატრონობა აკლია, დღეს სავალალოდ გამოიყურება. სახურავს ალაგ-ალაგ წყალი ატანს, ეიდლებს როგორც შიგნით, ისე გარეთ ბათქაში სკვიდა, როგორც სასტუმროს მეცვლელებმა განაცხადეს, უკვე მეორე წელია აფხაზეთის ასსრ სპბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები სასტუმროს შენობის რემონტს და სათანადო ინვენტარის განახლებაშეძენას პპირდებიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა უცვლელი რჩება.

კეთილმოწყობისა და კარგი მომსახურების მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ბუდაოთის სასტუმრო „ალაშარასა“ და ახალი ათონის — „ფსირცეში“ იკრძნობა.

სასტუმრო ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. იქ დახვედრა-მომსახურებაში გამოსჭვივის ქალაქის კულტურა. კარგი სასტუმრო თუ არ გაქვს, კარგი მასპინძელიც ვერ იქნება. ცუდი მასპინძელი კი არც შინაურს მოეწონება და არც უცხოს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სუსხიანი სტრიქონები

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მარტო საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ათასობით ახალგაზრდა სწავლობს. ეს მოწმობს, რომ ყველას, ვისაც სათანადო მოწოდება და სურვილი აქვს, შეუძლია ისწავლოს და პარალელურად შეიძინოს შრომისა და არჩეული დარგის მართვის კონკრეტული ჩვევები, დაეუფლოს სახალხო მეურნეობის გაძღოლის მეთოდებს.

ამავე დროს ეს კონტინგენტი დიდი შრომითი რეზერვიც არის, რომელსაც სახელმწიფო ეკონომიკის განმტკიცებაში თავისი ხვედრითი წონა აქვს. კადრების აღზრდის ამ ფორმას დღეს განსაკუთრებით დიდი ამოცანა აკისრია. ამიტომ არის სავალდებულო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა მუშაობა შესაბამისი პროფილით, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

რესპუბლიკის, საოლქო, საქალაქო და რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ მოწყობილი შემოწმებები, ამჟამად რომ მიმდინარეობს, ცხადყოფს, რომ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებების სტუდენტი ახალგაზრდობის შრომითი დასაქმების საკითხებს ყველგან ჯეროვნად არ აფასებენ, ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტი მუშაობდეს პროფილით, არჩე

1980
24
თებერვალი
საბჭოების არჩევნების დღე

ერთსულოვნების ვითარებაში

(დასასრული)

...ესაუგლიკის უმაღლესი საბ... დეპუტატობის კანდიდატ... რეგისტრაციაში გაატარეს:

...ალაქ თბილისის № 8 პიონ... საარჩევნო ოლქში — თბი... ...ის პირველი მაისის სახელო... სამკერვალო ფაბრიკის მკერ... ...ელისაბედ კონსტანტინეს ...ული ირემაშვილი,

...ალაქ თბილისის № 12 ანაპის ...ე დივიზიის საარჩევნო ოლქ... — თბილისის საწარმოო გაერ... ...ებების „ელმავალმშენებლის“ ...ტრალური დირექტორი ზურაბ ...ითის ძე ჩივაძე,

...ალაქ თბილისის № 16 გლდა... საარჩევნო ოლქში — თბილი... № 1 ავტოსატრანსპორტო ...არმოს მძღოლი ვახტანგ რუ...ის ძე ემნაძე,

...ალაქ თბილისის № 26 მეგობ...ის საარჩევნო ოლქში — სა...თველოს კომპარტიის ქალაქ ...ილისის პირველი მაისის რაი...ის პირველი მდივანი ზაურ ...ოს ძე მესხიშვილი,

...ალაქ თბილისის № 20 ჩელუ...ნელთა საარჩევნო ოლქში — ...ბოლშრომშენის“ № 3 ტრუს... მუშა ვაჟა მიხეილის ძე დეს...ტაშვილი,

...ალაქ თბილისის № 36 პიხარე...ის საარჩევნო ოლქში — ალმა... „საოჯახის“ მთავარი რედაქ...ორი შოთა გიორგის ძე ნიშნია...ე,

...ალაქ თბილისის № 35 საბჭოს ...არჩევნო ოლქში — საქართვე...ოს კომპარტიის ცენტრალური ...ომიტეტთან არსებული პარტიის ...ტორიის ინსტიტუტის დირექ...ორი დავი გიორგის ძე სტუ...ა,

...ალაქ თბილისის № 44 მელიქი...ოვის საარჩევნო ოლქში — ...ართველოს სსრ მშენებლობის ...ინისტრის მოადგილე, გაერთია...ა „თბილქალაქმშენის“ უფროსი ...ომარ ვლადიმერის ძე კიკნაძე,

...ალაქ თბილისის № 52 სამრეკ...ველო საარჩევნო ოლქში — ...ბილისის პატონის სახელობის ...ექიროშესადაღი მოწყობილო...ბა ...ალრხნის მუშა თევდორე ვასი...ოს ძე შიტუხინი,

...ალაქ თბილისის № 53 ორჯო...ნიძის საარჩევნო ოლქში — ...ართველოს სსრ უმაღლესი საბ...ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ...ოადგილე ვიქტორია მოსეს ასული ...ირაძე,

...ალაქ წყალტუბოს ზონის № 273 მაღლაკის საარჩევნო ოლ...ში — საქართველოს კომპარტიის ...ყალტუბოს საქალაქო კომპარ...ტიის პირველი მდივანი დმიტრი ...ალექსანდრეს ძე კიკნაძე,

...ალაქ ბორის № 118 26 კომი...სრის საარჩევნო ოლქში — საც...ელი ქარხნის „ანალიზნილსაწ...ყოს“ ზეინკალი სულიკო მათეს ...ძე გლუაშვილი,

...თეთრი წყაროს რაიონის № 161 ...ასურეთის საარჩევნო ოლქში — ...ჯორჯიაშვილების კოლმეურნეობის ...მუშა ეუფუნა დიმიტრის ასული ...ოგანოვა,

...ორჯონიკიძის რაიონის № 233 ...კიცხის საარჩევნო ოლქში — ...ართველოს კომპარტიის ორჯონ...იკიძის რაიკომის პირველი მდივანი ...ოთა ალექსანდრეს ძე დე...ვდარიანი,

...ხაშურის რაიონის № 126 რუს...თაველოს საარჩევნო ოლქში — ...ხაშურის სფეიერო-საგალანტე...რეო ფაბრიკის მკსოველი სვეტ...ლანა ბეგლარის ასული ნათენაძე,

№ 248 სარჩენის საარჩევნო ...ოლქში — საქართველოს კომპარ...ტიის ცენტრალური კომიტეტის ...პრომპანდისა და აგიტაციის განყ...ოფილების გამგე ვახტანგ ივანეს ...ძე ქარუმიძე,

ქალაქ ბათუმის № 405 აბაში...ძის საარჩევნო ოლქში — ბათუ...მის მანქანათსაშენებელი ქარხნის ...ხარატი ვლადიმერ ალექსანდრეს ...ძე დოლიძე,

№ 147 ბოგდანოვკის საარჩევ...ნო ოლქში — საქართველოს კომ...პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის ...პირველი მდივანი ვასილ აიკის ძე ...კოჩოიანი,

ქალაქ სოხუმის № 359 კალი...ნინის საარჩევნო ოლქში — საქა...რთველოს კომპარტიის აფხაზეთის ...საოლქო კომიტეტის მეორე მდი...ვანი ვილენ ისიდორეს ძე ალა...ვიძე,

ქალაქ ჭიათურის № 245 სვერის ...საარჩევნო ოლქში — საქართვე...ლოს სსრ მშენებლობის მინისტრი ...ნოდარ აკაკის ძე მიქმარიაშვილი,

...ორის რაიონის № 113 ხიდის...თავის საარჩევნო ოლქში — სო...ფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის ...წევრი ნათელა შალვას ასული ხა...რიბეგაშვილი,

...ადიგენის რაიონის № 139 აბა...სთუმნის საარჩევნო ოლქში — ვა...რხამის მებოლტნეობა-მერძე



დათა თუთაშხია — საქართველოს ქომაგი

ცენტრალური ტელევიზია იწყებს მრავალსერიიანი მხატვრული ფილმის „დათა თუთაშხიას“ ჩვენებას

საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის საკავშირო კომისიის, აგრეთვე თეორიის და კრიტიკის საბჭოს თანხმობით მოსკოვის ცენტრალური კინოს სახლის დარბაზში მოეწყო მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის „დათა თუთაშხიას“ ჩვენება და განხილვა.

ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია. სალამის უძღვებოდა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი კონორეევსორი ე. ტაშკოვი. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორის მოადგილემ ა. რუდენკომ, ჟურნალ ზნამიას ლიტერატურულმა კრიტიკოსმა გ. კორნილოვამ, კინოკრიტიკოსმა მ. კორალოვმა, ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, კინოკრიტიკოსმა ნ. ბორკაიამ, ჟურნალ „ეკრანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა ი. სელეზნიოვამ, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ თანამშრომელმა ე. ლევანდოვსკაიამ, პოეტმა მ. ქვლივიძემ, ფილმის ავტორებმა— მწერალმა ჭ. ამირეჯიბმა, რეჟისორებმა გ. ლორთქიფანიძემ და გ. გაბესკირიამ.

აი რა გვითხრა ფილმის თაობაზე ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორის მოადგილემ **ა. რუდენკომ.**

„სამწუხაროდ, ჩვენს სატელევიზიო ფილმებს შორის ძალიან იშვიათად გვხვდება ისეთები, რომლებიც საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდნენ... ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია. ჩვენ ვიცით, თუ რა წარმატება ხვდა ფილმს საქართველოში, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსმა მკითხველმა უკვე შეიყვარა ქართველი აბრაგის ხიფათიანი ცხოვრება— რომანი ჯერ ჟურნალში დაიბეჭდა, შემდეგ კი მშვენივრად დასტამბული გამოვიდა ცალკე წიგნად.

თუთაშხია იღუპება, მაგრამ ჩვენთან სამუდამოდ რჩება მისი შინაგანი სოციალური პოტენციალი, სითბო და დაუოკებელი შემართება — გადააქციოს ადამიანები უფრო ნათელ და სიკეთით სავსე ცხოვრების ღირსად.

სწორედ ასეთი ჭეშმარიტების ძიებას ემსახურება ფილმი. შემოქმედებით კოლექტივს ვულოკავ დიდ წარმატებას, მოუთმენლად მოველი იმ დღეს, როცა საკავშირო ტელევიკრანზე დაიწყება „დათა თუთაშხიას“ ჩვენება.

კრიტიკოსი **მ. კორალოვი** კი გვეუბნება:

„კარგია, რომ მივიღეთ მრავალმხრივ საყურადღებო სატელევიზიო მრავალსერიიანი ფილმი. საბჭოთა მაყურებელი დიდი ხანია ელოდა ასეთ გმირს. რაც შეეხება ზნეობრივ პრობლემებს, რომლებიც ასე უხვად არის გაბნეული როგორც რომანში, ისე ფილმში, შეამჩნევდით როგორ თანაუგრძნობდა დარბაზი პატიოსნებას, გამბედაობას, სიკეთეს და მშვენიერებას. ფილმში წამოჭრილი და ბრწყინვალედ გადაწყვეტილი ფილოსოფიურ-ზნეობრივი პრობლემები დღეს ბევრს აღელვებს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის სრულიად უნიკალური სურათი“.

მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო ფილმის „დათა თუთაშხიას“ ჩვენებას სახელწოდებით „ნაპირები“ დღეიდან, 29 იანვრიდან იწყებს ცენტრალური ტელევიზია.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის საერთაშორისო!..

უფლებათა და საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები.

ასპარეზობაში კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **ს. კორნილავი** (სსრ კავშირი), **ჯ. მილზი** (აშშ), **გ. ბაღდასარიანი, ს. ხატაგოვი, ნ. პეტრენკო, გ. მაკასარაშვილი, ო. კალოევი, ს. ოჰანესიანი, ი. მატე და ს. ანდიევი** (ყველანი — სსრ კავშირი).



სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ადგილობრივ ფავორიტად ცნობილ **ი. ანდიევის** (ყველა — სსრ კავშირი) ბრძოლებით. ანდიევი ბოლო ეტაპზე ორ ბრძოლაში ერთ-ერთ ძლიერ მოჭიდავეს, ბ. ბაბაიანს ერეკებოდა ტატამიდან, ორივე ბრძოლა ანდიევმა ერთ ხელ-ფეხზე ერეკებოდა ტატამიდან, ორივე ბრძოლა ანდიევმა ერთ ხელ-ფეხზე ერეკებოდა ბაბაიანს